საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იზი სელეიმან ეფენდი

იზი (Izzi) სელეიმან ეფენდი (გ. 1755), ოსმალო ისტორიკოსი და პოეტი. ორჯერ, 1743 და 1746, ეკავა სულთნის კარზე ოფიც. ჟამთააღმწერლის („ვაკა-ი ნუვისი") თანამდებობა.

მისი ორტომიანი ისტორია მოიცავს 1730–50 ამბებს. თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დაცული სამხრ. კავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. ი. საგანგებოდ აღწერს ირანის საშინაო მდგომარეობას ამ პერიოდში, ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ შექმნილ ვითარებას, ტახტისათვის გამართულ ბრძოლას, რ-შიც, მისი თქმით, მონაწილეობდა „თბილისის ხანი თეიმურაზი". თეიმურაზი თავს დაესხა სპარსელებს და დაიკავა „ერევანი, განჯა და თბილისი", მაგრამ ლეკების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია